MES 4 21 0000041010

29/01/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.12.2020
სხდომის დაწყების დრო: 15:15 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:56სთ
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ნინოდობორჯგინიძე**- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
13. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	ლალი გიორგიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	ლაშა მაჭარაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდ დაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირმა შიოშვილი		რექტორი, პროფესორი	I

2	მზია მაისურაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	I
3	შალვა ჭკადუა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი,	I
4	მაია გონაშვილი		სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროგრამის თანახელმძღვანელი	I
5	ნანა რინკიაშვილი		ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	I
6	ია ჯიმშიტაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
7	ლალი ჩაგელიშვილი		პროგრამის თანახელმძღვანელი	I
8	ჯემალ ძაგანია	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი, პროფესორი	II
9	ვლადიმერ ბოჟაძე		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	II
10	მაია ხურცილავა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
11	ტრისტან გულბიანი		დეკანი, პროფესორი	II
12	გიორგი ზუბიტაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	II
13	გიორგი სოსიაშვილი		რექტორი	III, IV
14	ლევან მიდოდაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV
15	ქეთევან ბარბაქაძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებატა ფაკულტეტის დეკანი	III, IV
16	ციური დურული		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	III, IV
17	მამუკა ჯოლბორდი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III, IV

18	დავით ჩოჩიშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	III, IV
19	დავით ჩოჩიშვილი		საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	III, IV
20	იოსებ ალიმბარაშვილი		ასოცირებული პროფესორი	III, IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	გიორგი ღაღანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ვახტანგ თებიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	გოდერძი ბუჩაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ზურაბ კაკაბაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თეიმურაზ პაპასქირი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№100, 28.07.2015
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ეკონომიკა 0311
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ქ. თელავი, სასწავლო კორპუსი №1, 2200, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - მანანა კევლიშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გიორგი ღაღანიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ: გიორგი ღაღანიძე, ეკა გეგეშიძე და ნინო ტალიკაძე. ვიზიტი განხორციელდა ნორმალურ, საქმიან ვითარებაში, იყო მასალებთან დაკავშირებული გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ვიზიტის განმავლობაში გასწორდა თუმცა, მათი შესწორება ვიზიტამდეც შეიძლებოდა. მისი თქმით, შეხვედრებმა ჩაიარა საინტერესოდ.
„გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
• პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
• მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

• მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
• მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
• მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დამოკიდებულება განპირობებულია იმით, რომ პროგრამა არის სადოქტორო, სადაც ძალიან მნიშვნელოვანია დეტალური სკითხები, მაგ., მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშეწყობა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია დაფინანსდეს დოქტორანტების მიერ მაღალრეიტინგულ გამოცემებში მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება;
2. სილაბუსებში მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და ცალ-ცალკე წარმოდგენა, როგორც ეს განისაზღვრა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებით;
3. მიზანშეწონილია დეტალურად გაიწეროს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, რასაც ექსპერტთა ჯგუფის წევრები დიდხანს განიხილავდნენ კოლეგებთან და საუბარია იმაზე, რომ მექანიზმი, რომელიც გაწერილია იურიდიულად ტოვებს გარკვეულ შესაძლებლობას, მაგ., რომ ვერ მიიღონ გადაწყვეტილება რა ხდება ამ შემთხვევაში, დაწესებულების წარმომადგენლები მათ ეუბნებოდნენ, რომ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, მაგრამ თუ ვერ მიიღეს უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც მისცემს გარკვეულ ორიენტირს;
4. მიზანშეწონილია დაზუსტდეს სასწავლო კურსებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრები;
5. მიზანშეწონილია მოხდეს აკადემიური პერსონალის ზრდა, რაც სადოქტორო პროგრამის აკადემიურ მდგრადობას გაზრდის. ამასთან ერთად სადოქტორო პროგრამის მიზნებში აღნიშნული რეგიონალური საკითხების აქტუალიზაცია უფრო ეფექტიანი იქნება საკუთარი აკადემიური პერსონალის პირობებში;
6. მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტში განსაზღვრული იყოს სამეცნიერო კონფერენციებში, განსაკუთრებით საზღვარგარეთ გამართულში მონაწილეობის ხარჯები. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო „ონლაინ“ კონფერენციებში. ასევე უნდა მოხდეს დოქტორანტების, თუნდაც ნაწილობრივი დაფინანსება საერთაშორისო „ონლაინ“ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად;
7. მიზანშეწონილია განისაზღვროს სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხები და გაიწროს ამ თანხების განაწილების მექანიზმი;
8. მიზანშეწონილია განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობის კონცეპტუალური მიდგომები (ხარჯების ნაწილის დაფარვა, ერთობლივი პროგრამები, ხარჯების გაზიარება თუ სხვა რამ). ამის შესაბამისად უნდა გაიწეროს საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტი, განისაზღვროს კრიტიკული ნიშნულები/ინდიკატორები, დაწესდეს სადოქტორო პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების პირობები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. სასურველია მოხდეს მიზნის მოდიფიცირება იმგვარად, რომ მასში უფრო მეტად გამოჩნდეს ინტრნეციონალიზაციის ელემენტები და ამავდრულად არ იყოს აქცენტი გაკეთებული ნაშრომის შექმნაზე;
2. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს სწავლის შედეგების შეფასების კვლევა და დოკუმენტირება;
3. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ განახორციელოს კვლევითი პროექტები და უზრუნველყოს სტუდენტების ჩართვა;
4. მიზანშეწონილია საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეთანხმებების ხელმოწერა, რაც გაამარტივებს და გააფართოვებს მონაცემთა ბაზებზე წვდომას;
5. გარე ექსპერტ-შემფასებლების (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) ჩართვა პროგრამის შეფასების პროცესში, მისი სამომავლო სრულყოფის უზრუნველსაყოფად (რადგან არ დასტურდება დოკუმენტაციით).
მისი თქმით ეს არის ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც ჩამოაყალიბა ექსპერტთა ჯგუფმა და გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დროსაც. მათ ისაუბრეს აღნიშნულ საკითხზე და წარადგინეს დასკვნის პროექტი, რომელზეც დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და დასკვნის პროექტი პრაქტიკულად უცვლელად დატოვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

რექტორი, ირმა შიოშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ვიზიტის პროცესში გაწეული შრომისა და კოლეგიური დამოკიდებულებისათვის. მან განაცხადა, რომ ცოტა ხნის წინ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდებოდა საკმაოდ ბევრი სადოქტორო პროგრამა უნივერსიტეტში არსებული თითქმის ყველა მიმართულებით, აქედან გამომდინარე იმართებოდა ბევრი დისერტაციის დაცვა, მათი ადმინისტრირების პირობებში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი სტრატეგიული პრიორიტეტები, მოხდა პროგრამების გადასინჯვა, გადახედვა, ანალიზი, შეფასება და მათი შესაბამისობის განსაზღვრა სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით რეგიონალური უნივერისტეტისათვის უმჯობესია რესურსის მობილიზება მოხდეს რამდენიმე კონკრეტული სადოქტორო პროგრამისათვის და არა ყველა მიმართულებით, შესაბამისად დაწესებულებას აქვს ის რეალობა/სურათი, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო საფეხური ვითარდება სტრატეგიული პრიორიტეტების ფარგლებში. რექტორმა ხაზი გაუსვა გარემოებას, რომ მის უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა არის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი საკითხი, ყოველწლიურად ბიუჯეტში იზრდება სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსების წილი და არ არის შემთხვევითი, რომ გასულ წელს ორმა პროფესორმა აიღო პატენტი გამოგონებაზე, რომელიც მაგისტრანტების აქტიური ჩართულობით ხორციელდებოდა და ერთ-ერთი მათგანი საწარმოშია დანერგილი, ერთი კი დანერგვის პროცესშია უნივერსიტეტის საცდელ ნაკვეთში. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება აფილირებული აკადემიური პერსონალის სტატია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ბაზებში, გამოყოფილია თანხა დოქტორანტების სტატიის დაფინანსებისათვის და მათი კონფერენციაში მონაწილეობისათვის. საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულნი დოქტორანტები და მაგისტრანტები სამეცნიერო კვლევით პროექტებში. განსახილველი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტიც ჩართულია, როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო

კვლევით პროექტში. დიდი ყურადღება ექცევა უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების დანერგვას საწარმოში (ამის ბევრი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი), რომელთა კომერციალიზაციაც წარმატებით მიმდინარეობს.
რექტორის თქმით, დაწესებულება საქმიანობს ცენტრალიზებული ბიუჯეტით, განსახილველი პროგრამის მდგრადობისთვის, რისკების გათვალისწინებით, დაანგარიშებულ იქნა შემოსავალი და ხარჯები და უნივერსიტეტი გეგმავს, დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისთვის დაფინანსების ეტაპობრივად გაზრდას.
რაც შეეხება საერთაშორისო აქტივობას, რექტორმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი საკმაოდ აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო მიმართულებით. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფინანსებული პროექტების რაოდენობის მიხედვით მოწინავე ადგილს იკავებს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან არის დიდი დაინტერესება რეგიონის უნივერსიტეტისა და დაწესებულების მიერ შერჩეული სტრატეგიული პრიორიტეტების მიმართ. ზემოაღნიშნული პარტნიორები შერჩეულ იქნა დაწესებულების მიერ, რომელიც ძალიან აქტიურად ჩაერთო განსახილველი პროგრამის განხორციელების პროცესში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, შალვა ჭკადუა მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ისაუბრებდა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ნაწილსა და პერსონალით უზრუნველყოფის ნაწილზე. მისი თქმით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან კონსულტაციის საფუძველზე შეიმუშავეს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა, სადაც ძალიან მკაფიოდ არის გაწერილი ის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს სადისერტაციო ნაშრომმა, რათა მიიღოს შესაბამისი შეფასება. აქედან გამომდინარე სადისერტაციო საბჭოს დებულებაში გაწერილია რა კონფიირგურაციის შემადგენლობა იქმნება დისერტაციის შესაფასებლად და მექანიზმი, რომლითაც აფასებს კოლეგია სადისერტაციო ნაშრომს, გაწერილი კრიტერიუმების მიუხედავად განსხვავებული პოზიციების ჩამოყალიბების შემთხვევაში არის დემოკრატიული პრინციპი - გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. გასულ წლებში უფრო მარტივად იყო ეს ნაწილი, როდესაც ქულებით გამოისახებოდა, შესაბამის შეფასებას გაწერილი ჰქონდა ქულა, შესაბამისად მარტივი იყო საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა და კონკრეტული ქულის დაწერა, მაგრამ, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხზე მუშაობდნენ, შეთანხმდენენ, რომ უნდა ყოფლიყო მსჯელობის პროცესი, კოლეგია უნდა მისულიყო კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე, თუმცა თუ ვერ მივიდოდა, მაშინ კეკნჭისყრაზე უნდა დამდგარიყო გადაწყვეტილება და ხმათა უმრავლესობით გამოვლენილიყო. მან აღნიშნა, რომ ხსენებული დოკუმენტი დანართის სახით არის მიწოდებული და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ნახონ, როგორ აფასებს კოლეგია სადისერტაციო ნაშრომს. ექსპერტების მოსაზრების თანახმად უმჯობესია მეტი გამჭვირვალობა შევიდეს მექანიზმში, თუმცა არსებული პრაქტიკითა და იმ მექანიზმით გადაწყვეტილების მიღების პრობლემა არ ფიქსირდება. მიუხედავად ამისა დაწესებულების წარმომადგენლები მუდმივად ორიენტირებულნი არიან ნებისმიერი საკითხის განხილვა/გაუმჯობესებაზე, აღნიშნულ საკითხსაც დაუბრუნდებიან და განიხილავენ. დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, სისტემა უზრუნველყოფს შესაბამისი შეფასების გადაწყვეტილებამდე მისვლას.
აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სასწავლო კომპონენტის ძირითადი ნაწილი დატვირთულია ადგილობრივი აკადემიური პერსონალით, თუმცა სილაბუსების თანაავტორებად ან დამოუკიდებლად, დაწესებულებას მოწვეული ყავს შესაბამისი დარგის პროფესიონალები, რომლებიც თავიანთი გამოცდილებით, უნივერსიტეტის მიღმა დაგროვილი გამოცდილებითა და ცოდნით ავსებენ პროგრამას, რაც უფრო მისი პლიუსია, ვიდრე მინუსი. აქედან გამომდინარე თანაფარდობა 50:50-ზე არ არის, რადგან როგორც დათვალეს 9 ადამიანი მონაწილეობს პროგრამის

განხორციელებაში, არის ადგილობრივი აკადემიური პერსონალი, ხოლო დანარჩენი 5, რომელიც მონაწილეობს სასწავლო კურსების განხორციელებასა და ა.შ. არის მოწვეული პერსონალი, რომელთა სასწავლო კურსები ძირითადად არის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს მრავალფეროვნება შესთავაზონ დოქტორანტებს, როგორც პერსონალის მიერ, ასევე გარედან მოტანილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ნაწილში.

რაც შეეხება ჩანაცვლებას, მან განაცხადა, რომ ასეთი ფაქტი ნამდვილად არსებობს, დაწესებულება დიდი ხანია თანამშრომლობს ერთ-ერთ მოწვეულ პერსონალთან, რომელთან დადებულ ხელშეკრულებას ვადა ჰქონდა გასული, რისი იდენტიფიცირებაც დაწესებულებამ აგვისტოში მოახდინა, ზემოაღნიშნულმა პერსონალმა მათ უთხრა, რომ ვეღარ გააგრძელებდა მათთან მუშაობას, რადგან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დადებული კონტრაქტი უკრძალავდა ამის გაკეთებას, რაც მანამდე არ განიხილებოდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აგვისტოშივე ჩაანაცვლეს ძალიან გამოცდილი პერსონალით, იგივე სპეციალობაში, რა სასწავლო კურსიც უნდა წაეყვანა, რაზეც დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გაუგზავნეს ზემოაღნიშნული ხელშეკრულება. დაწესებულება ეთანხმება მოსაზრებას, რომ ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა და სილაბუსი, რომელიც ცენტრში გაგზავნის დროს იყო, ეწერა სხვა ავტორი, ხოლო ვიზიტის განხორციელების დროს უკვე შეცვლილი იყო, ეს ეხება მხოლოდ ერთ არჩევით სასწავლო კურსს, თუმცა პროგრამის მგრადობა ამით არანაირი რისკის ქვეშ არ დამდგარა, ექსპერტებს ჰქონდათ სტუდენტებთან და დანარჩენ პერსონალთან ამ საკითხის გადამოწმეს საშუალება, რომ უნივერსიტეტში არასდროს ყოფილა მსგავსი შინაარსის პრობლემა - ადამიანურმა რესურსმა ვერ უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა/განხორცილება, რადგან დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, რომ პერსონალის ნაწილში ძალიან მდგრადი იყოს პროგრამა.

„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სწავლა-სწავლების მეთოდებისა და აქტივობების გამიჯვნა №3 ბრძანებაში ერთი პუნქტით არის შემოფარგლული, რომელიც იმეორებს მეთოდსა და აქტივობას ერთმანეთში და დაწესებულების სილაბუსებში ვერ აღმოაჩინეს შემთხვევა, სადაც არეული იყო სწავლების მიზანი და აქტივობა, თუმცა თუ არის მსგავსი შემთხვევა, ამით პროგრამის შინაარსი არ ზარალდება, რადგან თითქმის იმეორებს ერთიდაიგივეს, მაგრამ სილაბუსებში მკაფიოდაა გამიჯნული.

პროგრამის თანახელმძღვანელი, ლალი ჩაგელიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან მეთოდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ მიღებული რეკომენდაციის შემდეგ კიდევ ერთხელ გადაამოწმა სილაბუსები და ყველა ძირითადი სასწავლო კურსის სილაბუსში ის მეთოდები ძირითადად ისეა გაწერილი, როგორც „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებით არის გათვალისწინებული, იქ არ არის გასამიჯნიც კი, პირდაპირ წერია: სწავლების დროს გამოიყენება მეთოდები - ლექცია/სემინარი და შემდეგ წერია, რომ ასევე გამოიყენება: აქტივობები, დისკუსიები, დებატები და ა.შ. იქ სადაც კვირეული, სასწავლო კვირის მიხედვით გაწერა, ლექცია/პრაქტიკული მასალებისა და ა.შ., პრაქტიკულ მასალებში ჩაშლილია რა სახის აქტივობაა, დებატები, ჯგუფში მუშაობა, ამოცანა/სავარჯიშოებია თუ ა.შ. ამდენად დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ამ ნაწილში გარკვეულწილად, ყოველ შემთხვევაში სწავლა-სწავლების მეთოდები აბსოლუტურად ყველგან გასამიჯნი ნამდვილად არ არის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, შალვა ჭკადუამ ფინანსურ საკითხებზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მზია მაისურაძეს.
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მზია მაისურაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროგრამის ბიუჯეტის გაწერის ფორმა და კონტინგენტის მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია, რომ სადოქტორო პროგრამის ჯგუფი უნდა შედგებოდეს ხუთი ადამიანისაგან, ვინაიდან პროგრამა 180 კრედიტიანია და სამ წელიწადს მოიცავს, მისაღები კონტინგენტის სავარაუდო რაოდენობასა და სამ წელიწადზე გათვლილია ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში გაწერილია სტუნედტთათვის საჭირო ყველა ხარჯი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმ, შალვა ჭკადუამ დასძინა, რომ პროგრამა არ არის 180 კრედიტიანი, არის სამ წლიანი და 40 კრედიტიანი, თუმცა ბიუჯეტის დათვლის ნაწილში ეს ციფრი პრაქტიკული თვალსაზრისით არის წარმოდგენილი.
ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, მზია მაისურაძემ განახადა, რომ გათვლილია ყველა ის ხარჯი, რომელიც სჭირდება სტუდენტებს, დაწესებულებას აქვს ცენტრალიზებული ბიუჯეტი და არ არის დიფერენცირებული ფაკულტეტებზე, შესაბამისად ეს ხარჯი/შემოსავალი, რომელიც აღნიშნული სტუდენტების მიერ უნდა შევიდეს ბიუჯეტში გათვლილია კონკრეტულ, ერთ ჯგუფზე, რომელსაც უნდა მოხმარდეს ეს ხარჯები, სადაც გაწერილია კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები, 750 ლარია მხოლოდ ამ ხუთ სტუდენტზე და ერთ სტუდენტზე 150 ლარი გამოდის, დაწესებულება, ასევე, აძლევს შესაძლებლობას, რომ ადგილობრივ კონფერენციებში მიიღონ მონაწილეობა, სადაც უსასყიდლოდ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, შესაბამისად მათი სტატია შესაძლებელია, მოხვდეს შრომების კრებულში. კვლევების დაფინანსებაზე სტუდენტების უშუალო შემოსავლიდან 4500 ლარია გაწერილი, რაც თითოეულ სტუდენტზე 900 ლარი გამოდის. დაწესებულების წარმომადგენლები არ ფიქრობენ, რომ ასეთმა სადოქტორო პროგრამამ ისინი მოგებაზე უნდა გაიყვანოს და კვლევის განსახორციელებლად უნივერსიტეტში დამატებით, ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან 15000 ლარი ჩაიდო, რაც ემატება იმ შემოსავლებს, რასაც აღნიშნული სტუდენტებისგან იღებენ, აღნიშნული 15000 ლარიდან თითოეულ სტუდენტზე 3000 ლარია გათვლილი და ჯამში 3900 ლარი გამოდის ერთ სტუდენტზე, ხელშეწყობა კვლევების დასაფინანსებლად უნივერსიტეტის მხრიდან, აღნიშნული კვლევების დაფინანსებით სტუდენტებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ სტატია და მისი ღირებულება გადაუხადონ მაღალრეიტინგულ ჟურნალებს, ასევე მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო, თუ ადგილობრივ კონფერენციაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს შიდა საუნივერსიტეტო გრანტების დაფინანსების დებულება, სადაც ყოველ წელს ცხადდება კონკურსი და პროფესორ-მასწავლებლები წარადგენენ გრანტებს, პრიორიტეტი ისეთი გრანტის დაფინანსებას მიეცემა, სადაც დოქტორანტები და მაგისტრანტები არიან ჩართულნი, შესაბამისად შესაძლებელია, რომ დოქტორანტმაც მიიღოს მონაწილეობა ასეთი გრანტის განხორციელებაში, რაც დამატებით ეხმარება მათ, მონაწილეობა მიიღონ კვლევებსა და პროექტში, რომელსაც უნივერსიტეტი საკუთარი ბიუჯეტიდან აფინანსებს. მან აღნიშნა, რომ ყოველ წელს იზრდება ბიუჯეტში კვლევების ხელშეწყობის დაფინანსება, ბიუჯეტების გადახედვის შედეგად დგინდება, რომ ყოველწლიურად ბიუჯეტი იზრდება 30000-40000 ლარით. მისი მოსაზრებით საკმაოდ კარგი ხელშემწყობი პირობებია სტუდენტებისთის კვლევებში მონაწილეობის მისაღებად, რომელთა დაფინანსება უნივერსიტეტის სახსრებიდან მოხდება.
გაწერის მექანიზმთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შიდა ადმინისტრაციული წესების თანახმად, როდესაც უნივერსიტეტში დოქტორანტს უნდა დაწესებულებისგან რაიმე კვლევის დაფინანსებისათვის ხარჯის გამოთხოვა, ეს არის მარტივი პროცედურა, მან უნდა მიმართოს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც დაასაბუთებს კვლევასა და სტუდენტის მონაწილეობას, რა სახსრები/ხარჯები სჭირდება სტუდენტს, შემდეგ მიემართება ფაკულტეტის დეკანს აღნიშნული წინადადებით, რომელიც გადაუგზავნის

რექტორს, შემდეგ მას გააქვს აკადემიურ საბჭოზე და ის განიხილავს კვლევების დაფინანსებას და გამოყოფენ სახსრებს აკადემიური საბჭოს დადგენილებით შესაბამისი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. უნივერსიტეტის მხრიდან კვლევების დაფინანსებაზე, კონფერენციებში მონაწილეობასა და სხვა აქტივობებზე მისი მოსაზრებით მიმართვის შემთხვევაში არცერთ სტუდენტს შექმნია პრობლემა.

ფაკულტეტის დეკანმა, ნანა რინკიაშვილმა ისაუბრა 2.6 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, რომელიც გულისხმობდა „მიზანშეწონილია დაზუსტდეს ყველა სასწავლო კურსში მინიმალური კომპეტენციის ზღვრები“, მან განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის მიღების შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელებმა გადახედეს მთელ პროგრამაში შემავალ სილაბუსებს და ყველა სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი, მხოლოდ ერთ სილაბუსში „თანამედროვე ტენდენციები განათლების მეცნიერებაში“ (თავისუფალი/არჩევითი საგნების ბლოკი) არის ტექნიკური შეცდომა, შუალედური შეფასების მინიმალურ ზღვრად წერია 21 და გამოცდის 31, მაშინ, როდესაც გამოცდა 40 ქულიანია, უნდა იყოს პირიქით შუალედურის ზღვარი არის 31 და გამოცდის 21.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, შალვა ჭკადუამ განაცხადა, რომ სტანდარტი, რომელიც შეფასებულია „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მინიმუმ „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რადგან რესურსებით ნაწილობრივი უზრუნველყოფა ნამდვილად არ ხდება. დაწესებულება შორს არის იმ მოსაზრებისგან, რომ განვითარება სრულყოფილია, რადგან ეს არის დინამიური პროცესი და დაწესებულების საქმიანობიდან გამომდინარე ყოველდღიურობაში იგრძნობა, თუმცა ის, რომ ნაწილობრივ უზრუნველყოფილია პროგრამა რესურსებით, ამ შეფასებას დაწესებულების წარმომადგენელი არ იზიარებს, რადგან ნაწილობრივ არ არის აღნიშნული სტანდარტი დაკმაყოფილებული და მისი მოსაზრებით შესაძლებელია უფრო მაღალი შეფასება ჰქონოდა.

პროგრამის თანახელმძღვანელი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მაია გონაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის ჩამოყალიბებაზე იტალიელ პარტნიორთან, ლორენცოსთან ერთად მუშაობდა, რომელიც უკვე „ემერიტუსზე“ გადავიდა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით უნივერსიტეტმა დიდი მუშაობა გაწია. დაწესებულება ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, რომლებიდან პარტნიორებს შესთავაზეს, თუ ვის ექნებოდა სურვილი კვლევით ნაწილში ჩართულობისა, იმ საკითხებზე, რომლებზეც მუშაობდნენ თუ დოქტორანტსაც ექნებოდა სურვილი ჩართულიყვნენ. იგი ამაყობს, რომ დაწესებულებას არ უნდა ეზრუნა იმაზე, რომ უცხოელი ჩართულიყო პროგრამაში, არამედ ჰქონდათ არჩევანი, რათა შეერჩიათ ხელმძღვანელი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა თავისი კვლევების მიხედვით უნივერსიტეტის სტრატეგიებს. ამასთანავე ერთ-ერთმა - ელენე ბორძენკომ შესთავაზა ჩაეტარებინათ კონფერენცია, რომელიც 21 დეკემბერს ჩატარდა. იგი უკრაინის უნივერისტეტის და ამავე დროს ჩინეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის და კვლევითი ინსტიტუტის პროფესორია, თავის თავს ორჯერ დაცული დისერტაციით ნამდვილ პროფესორს უწოდებს. გარდა ამისა, ჩატარდა ერთობლივი კონფერენცია, რომელიც ეხებოდა ევროინტეგრაციის საკითხებს, სადაც მაია გონაშვილის ერთ-ერთ დოქტორანტი, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს მასთან ერთად წარსდგა და ახალი წლის შემდეგ, როდესაც კრებული გამოვა ასახული იქნება აღნიშნული ინფორმაცია. ერთ-ერთი თანახელმძღვანელი, რომელიც ესპანეთის უნივერსიტეტის პროფესორია, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ბარსელონას უნივერსიტეტში, ესპანეთში ვიზიტის დროს და უნივერსიტეტის საერთაშორისო/აკადემიური პერსონალის აქტიურობით ზემოაღნიშნული პროფესორი მარია ჯოზეფი მათ დათანხმდა თანახელმძღვანელობაზე და ეს არ არის ფორმალურად უცხოელის თანახელმძღვანელობა. მაგ., სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისთვის მოულოდნელი იყო, იმდენად სიღრმისეულად განიხილეს საკითხები და „ონლაინ“ საშუალებამ მისცა ხშირი, ზარითა და მეილით

ურთიერთობის საშუალება, რომ ჩატარებულიყო შეხვედრები Zoom-ის ფარგლებში, სპეციალურად თარგმნეს ყველა სილაბუსის თემები და აქედან გამომდინარე ყველა სილაბუსის თემაზე მიიღეს ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. მთლიანობაში, ყველა სავალდებულო საგანს აკადემიური პერსონალი კითხულობს, ხოლო მოწვეული პერსონალი ჩართულია არჩევით საგნებში, ისიც აკადემიურ პერსონალთან ერთად, შესაბამისად უნივერსიტეტს ნამდვილად გააჩნია ის რესურსი, რომ შესაბამისად განახორციელოს აღნიშნული პროგრამა.

პროგრამის თანახელმძღვანელის, ლალი ჩაგელიშვილის თქმით მარია ჯოზეპთან მოხდა იმის შეთანხმება, რომ პროგრამის ამოქმედებისთანავე ის და მისი კოლეგები სემინარებს წაიკითხავდნენ რეგიონულ ეკონომიკაში, ცალ-ცალკე სხვადასხვა მიმართულებებისათვის, შესაბამისად დეტალურად არის ყველაფერი წინასწარ შეთანხმებული, რათა პროგრამა სრულფასოვნად ამოქმედდეს და დადოს ის შედეგი, რომელიც გააზრებული/გათვალისწინებულია, მომავალი და მისი განვითარება კი დაწესებულებას დამატებით ელემენტებს აჩვენებს, რომელსაც ასევე განახორციელებენ და შეიტანენ პროგრამაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა, რომ რაც მოხდა ვიზიტის შემდეგ შეფასებაში ვერ შევიდოდა, დასკვნაში ასახულია მხოლოდ ის, რაც ნახეს ვიზიტის განმავლობაში. მან ასევე დააზუსტა ფაქტობრივი გარემოება, დასკვნაში წერია, რომ იმ მომენტში, როდესაც განხორციელდა ვიზიტი პერსონალი იყო 14, აქედან 8 იყო აფლირებული და 6 მოწვეული, თუ ამის შემდეგ შეიცვალა და გახდა 9:5, მას ძალიან უხარია, მაგრამ დასკვნაში საუბარია ვიზიტის დღეზე, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი თანახელმძღვანელის აკადემიურ პერსონალად აყვანის ინფორმაცია დაწესებულებამ წარადგინა ვიზიტის დროს და არა მანამდე, რაც ექსპერტთა ჯგუფმა უბრალოდ აღნიშნა დასკვნაში, მაგრამ არ გაუმახვილებიათ ყურადღება ამ საკითხზე. მან განმარტა, რომ რეკომენდაციაში საუბარია არა ერთ, არამედ ორ სილაბუსზე, საიდანაც ერთში თანაავტორობით იყო პირი, მეორეში კი აღნიშნული პირი იყო წარმოდგენილი, როგორც სილაბუსის ავტორი, რომელთანაც შრომითი ხელშეკრულება შეწყდა 2017 წლის სექტემბერში, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კი განხორციელდა 2020 წლის ოქტომბერში. საუბარი იყო ამ მომენტებზე/ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლებზეც აქცენტი იყო გაკეთებული. დაფინანსებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე მან განაცხადა, რომ დაფინანსება ეხება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, რაც 150 ლარის პირობებში შეუძლებელია, ისევე, როგორც, როდესაც საუბარი იყო, რომ გამოყოფილია თანხა, არ ჩანდა მექანიზმი, თუ როგორ ნაწილდება. იმ მომენტში უნივერსიტეტს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამა ჰქონდა, მაგრამ უკვე დამტკიცდა სხვა სადოქტორო პროგრამაც, შესაბამისად თანხა გამოყოფილია არა მარტო აღნიშნული პროგრამის დოქტორანტებზე, არამედ ზოგადად, დოქტორანტებზე. ექსპერტთა ჯგუფის რჩევა კი სწორედ ამას გულისხმობდა, რომ გაემიჯნათ და ზუსტად ცოდნოდათ რა თანხებია გამოყოფილი აღნიშნულ პროგრამაზე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, მზია მაისურაძემ განაცხადა, რომ მეორე სადოქტორო პროგრამა არაფერ შუაშია, ეს არის მხოლოდ განსახილველი სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი, მეორე სადოქტორო პროგრამა, რომელიც დამტკიცდა და ოთხი უნივერსიტეტის საერთო სადოქტორო პროგრამაა, იმას თავისი განსაზღვრული/კონკრეტული ბიუჯეტი აქვს. დაწესებულება ზემოაღნიშნულ კონკრეტულ ბიუჯეტს აყოლებს იმ ერთ ჯგუფს, რომელსაც მიიღებენ, მათ განსაზღვრული აქვთ მეთოდოლოგია, რომ მაქსიმუმ ხუთი დოქტორანტი უნდა იყოს „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო ჯგუფში, რომელთა შემოსავლებსა და გასაწევ ხარჯებზე იყო საუბარი. რაც შეეხება მეორე პროგრამას, რომელიც ასევე დამტკიცდა უნივერსიტეტში, თავისი ბიუჯეტი აქვს, თავისი დოქტორანტები ყავს და აქვს თავისი შემოსავლები, აბსოლუტურად სხვა არის იმ დოქტორანტებზე გაწეული დანახარჯი. აწერია კიდეც, რომ არის ამ კონკრეტული/განსახილველი სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი ერთ ჯგუფზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ მისთვის სასიამოვნო მოსასმენია, როდესაც ორივე მხარე ახსენებს, რომ კოლეგიურ გარემოში ჩაირა შეხვედრამ. მისი თქმით, ფინანსურ ნაწილს მოგვიანებით მიუბრუნდებოდნენ. მას სურდა დაესვა გლობალური შეკითხვები სანამ დეტალურზე გადავიდოდა. მან ექსპერტებს სთხოვა, დახმარებოდნენ რაღაც საკითხებთან დაკავშირებით გარკვევაში, რაც ან მისი ბრალია, ან დოკუმენტებმა არ მისცეს საშუალება, რომ გაეგო.

მან განაცხადა, რომ არსებული სადოქტორო პროგრამის რეკომენდაციები და წარდგენილი დასკვნა, სადაც ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება სხვადასხვა კომპონენტში არის დაწესებულების ვებ-გვერდი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კურიკულუმი გარკვეულ კითხვებზე არ სცემდა პასუხს და შეეცადა გადაემოწმებინა ვებ-გვერდზე, სადაც სამწუხაროდ აღნიშნული პროგრამა არ დევს, იქ დევს სხვა კურიკულუმი, რომელიც გაწერილია 180 კრედიტზე, მაგრამ ეს საერთოდ სხვა კურიკულუმია და შესაძლებელია, როდესაც ექსპერტებმა შეამოწმეს ვებ-გვერდი მაშინ განსახილველი პროგრამა იყო, საბჭოს წევრი ორი დღის განმავლობაში ამოწმებდა და იქ სხვა კურიკულიმი ხვდებოდა, შესაბამისად იმ გლობალურ კითხვებზე პასუხი ვებ-გვერდიდან ვერ მიიღო, ამიტომ თავს უფლება მისცა ეკითხა ექსპერტებისთვის.

მან მიმართა ექსპერტებს, რომ მიზნებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს გაწერილი აქვს რჩევა, „სასურველია მოხდეს მიზნის მოდიფიცირება იმგვარად, რომ მასში უფრო მეტად გამოჩნდეს ინტრნეციონალიზაციის ელემენტები და ამავდრულად არ იყოს აქცენტი გაკეთებული ნაშრომის შექმნაზე.“ მისი მოსაზრებით, 1.1 და 1.2. კომპონენტები რაც არის, პროგრამის პირველი მიზანი მოიცავს მეორე მიზანს და იმ ფორმით, როგორც არის წარმოდგენილი, პროგრამას არაფერს არ შესძენს, ასევე შესაძლებელია ამას ნეგატიურად შეხედონ, რადგან სადოქტორო პროგრამის მიზანი არ შეიძლება იყოს სამეცნიერო ნაშრომის/დისერტაციის მომზადება. პირველ მიზანში ძალიან კარგად არის გაწერილი, რომ მიზანი არის ეკონომიკის თეორიული ცოდნის გამოყენებით ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება და სამეცნიერო კვლევის შედეგების ანალიზი, რაც თავისთავად უნდა მოიცავდეს სადისერტაციო ნაშრომსაც და ამაზე აქცენტი არ იქნება პროგრამისთვის დამატებითი მიზანი. მან აღნიშნა, რომ არსებული კურიკულუმი არ იძლევა ჩარჩოს, თუ შევხედავთ როგორ არის განაწილებული სასწავლო კომპონენტები, რომლის მოცულობა 40 კრედიტია, შესაძლებელია სადმე იყოს და საბჭოსთვის გაგზავნილ „ფოლდერში“ არ ჩანდა, ამიტომ დაინტერესა აქვს თუ არა ექსპერტთა ჯგუფს წვდომა ამ „ფაილზე“ თუ როგორ არის დალაგებული სასწავლო კომპონენტის 40 კრედიტი, როგორც არსებულ კურიკულუმში წერია არის 40 კრედიტი, არის სავალდებულო საგნები, არის არჩევითი საგნები. საბჭოს წევრი შეეცადა სილაბუსებიდან აეწყო, რადგან წარდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს, სილაბუსებში არის მხოლოდ სავალდებულო 4 საგანი, რომელიც წარმოადგენს 20 კრედიტს, დანარჩენი 20 კრედიტის დაგროვების მექანიზმი/გზა, ჩარჩო-ხეს მსგავსი რამ ვერ ნახა და შესაბამისად დაინტერესდა, თუ რა ცოდნა ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა დასძინა, რომ მან ვერ გაარკვია, როგორ იწყება და სრულდება სასწავლო კომპონენტები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის დანართი 1 - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი ეკონომიკის“ სასწავლო გეგმა, სადაც სრულად/დეტალურადაა წარმოდგენილი აღნიშული საკითხები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ტალიკაძემ განაცხადა, რომ 20 კრედიტი არის სავალდებულო, 10 კრედიტი არის არჩევით სასწავლო კურსებზე, ძირითად კრედიტებში შედის მიკრო/მაკრო ეკონომიკის თეორიები, გამოყენებითი მიკროეკონომიკური ანალიზი, აკადემიური წერა

დოქტორანტებისთვის, კვლევის მეთოდები ეკონომიკაში და პროფესორის ასისტირება, ხოლო არჩევით კრედიტებში შემავალ საგნებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ასისტირება შეუძლია დაინტერესების შემთხვევაში.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ არ სურს არჩევითი კრედიტებში შემავალი საგნების ჩამოთვლა, რადგან ხედავდა დანარჩენ სასწავლო კურსებს. იგი დაინტერესდა არსებობს თუ არა რაიმე მექანიზმი, როგორ ირჩევს სტუდენტი სასწავლო კურსს, რადგან პრერეკვიზიტის სისტემა არ არის ჩამოყალიბებული, რადგან მის მიერ გახსნილ მასალებში არ არის წარდგენილი რომელი სასწავლო კურსი რისი პრერეკვიზიტი შეიძლება იყოს, ან რომელი რომელს უსწრებს.
საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ მიმართა საბჭოს წევრს, პაატა ბრეკაშვილს. მან განაცხადა, რომ დამატებით დოკუმენტების „ფოლდერში“ პირველივეა დანართი 1.
საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ შესაძლებელია მან ვერ ნახა დოკუმენტი
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ დასძინა, რომ დანართი 1 საბჭოს წევრის ყველა კითხვას გასცემს პასუხს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ დანართი 1-ში ყველაფერია გაწერილი და როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა დაწვრილებით შეისწავლა აღნიშნული „ფაილი“ არ გასჩენიათ კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ რაც სილაბუსებით ნახა პრერეკვიზიტები არ არის და დაინტერესდა არის თუ არა დანართ 1-ში აღნიშნული.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ ცალკე არის აღნიშნული დაშვების წინაპირობები.
საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა სასწავლო კურსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამის შესახებ რეკომენდაცია გაცემული არ არის და დაინტერესდა რამდენად მიიჩნევს ექსპერტთა ჯგუფი წარდგენილ მასალას სადოქტორო დონის შესაბამისად იმ სასწავლო ლიტერატურას რომელიც მითითებულია? ზოგან სილაბუსში უმეტესწილად „ლინკებია“ ჩადებული და სახელმძღვანელოების ანოტაციაში პირდაპირ წერია, რომ სახელმძღვანელო არის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის დონის შესაბამისი. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფს ანალიზის საშუალება და რამდენად ეთანხმებიან არსებულ მოცემულობას?
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ საკმაოდ დეტალურად განიხილა თითოეული სილაბუსი, ძალიან დიდი დრო დახარჯა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით ვერ იტყვის იმას, რომ 100%-ით სახელმძღვანელოები არის სადოქტორო საფეხურისთვის, თუმცა სილაბუსებში ისეა მასალა წარმოდგენილი, რომ მიღების წინაპირობებიდან გამომდინარე სრულფასოვან ინფორმაციას აძლევს დოქტორანტს ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, წარდგენილია, როგორც მაღალი დონის კვლევები, ისე შედარებით დაბალი დონისაც.
საბჭოს წევრმა, სთხოვა განეხილა, მაგ, სასწავლო კურსში „გამოყენებითი ეკონომეტრიკა“ წარმოდგენილი სახელმძღვანელო, არის დარგში შემყვანი და სახელმძღვანელოს ანოტაცია პირდაპირ იძახის, რომ არის საბაკალავრო საფეხურისთვის გათვლილი.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ გარდა აღნიშნული სახელმძღვანელოსი სილაბუსში მითითებულია ნაშრომები და სხვა საკითხები, რომელიც ადის უფრო მაღალ დონეზე. მან აღნიშნა, რომ ქართულად ნათარგმნი Advance სახელმძღვანელოები არ არსებობს. ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა ამ პრინციპით და ძალიან ბევრი ინგლისურენოვანი ლიტერატურაა შეთავაზებული, ინგლისურ ენას კი ითხოვენ მიღების წინაპირობად. მან სათითაოდ გაიარა ეს საკითხები და ძალიან დიდი დრო დახარჯა, ერთ-ერთი თემაზე სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდებში ეკონომიკაში“ სახელმძღვანელო ცოტა ძველია, მაგრამ აბსოლუტურად ყველა გამომცემელი გაიარა, თუმცა აღნიშნულ საკითხზე ახალი სახელმძღვანელო არ არის გამოცემული, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს განხილვის ნაწილში ესეც უწერია.

საბჭოს წევრი არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, მან განაცხადა, რომ მას შეუძლია კონკრეტული საგნების სილაბუსები გახსნას და გამოცემული არსებული გამოცემების ახალი ვარიანტები, მაგ., „გამოყენებით ეკონომეტრიკაში“, „გამოყენებით მიკროეკონომიკური ანალიზში“, „თანამედროვე ტენდენციებში“, „კვლევის მეთოდები ეკონომიკაში“ შესაძლებელია გახსნან სილაბუსები და ნახონ სავალდებულო ლიტერატურა, დამატებით მასალაში რაც არის ჩადებული, ბევრგან არის „ბლოგები“ სამეცნიერო ნაშრომები შეიძლება ითქვას, რომ იშვიათად არის წარმოდგენილი. მან გამოარჩია აკაკი ცომაიას სილაბუსი, სადაც პირდაპირ არის სადოქტორო დონის სახელმძღვანელო პირველი ჩადებული, აღნიშნული სილაბუსის გარდა რთულია ითქვას, რომ სადოქტორო დონის სავალდებულო ლიტერატურაა წარმოდგენილი, სადღაც შესაძლებელია უფრო ახალი ლიტერატურა გამოცემული არ იყოს, მაგრამ ეს არ არის ამომავალი წერტილი, რომ როდესაც სილაბუსში ორი სავალდებულო ლიტერატურაა და ანოტაციაში ორივეს უწერია საბაკალავრო ლიტერატურა, ამასთან დაკავშირებით იყო მისი კითხვა დასმული. მისი მოსაზრებით მთავარი არსი არის ეს - რას ასწავლიან და როგორ გადიან შედეგზე. მას შეუძლია გამოყოს აკაკი ცომაიას სილაბუსი, რომელიც არის შესაბამისი, ლიტერატურაში ჩადებულია სადოქტორო დონის სახელმძღვანელო, არის კვლევებიც, რაც არ გამორიცხავს სადოქტორო დონის სახელმძღვანელოსაც. რამდენიმე სილაბუსი შესაძლებელია გაიხსნას, რომლებიც არ შეესაბამება სადოქტორო დონეს, რაც არ იყო ნახსენები ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ან შესაძლებელია საბჭოს წევრს გამორჩა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ, მაგ., ეკონომეტრიკის სახელმძღვანელოში წერია, რომ საბაზო და Advance დონემდე ყველა საკითხია განხილული. შესაძლებელია ექსპერტს რაღაც გამოეპარა, მაგრამ ყველა სილაბუსი დეტალურად განიხილა და რეკომენდაცია, რომელიც დაიწერა 2.5-ში აქტივობებსა და მეთოდებს შორის არის ის, რომ ერთ სილაბუსში არ არის კარგად გამოყოფილი აქტივობები, თვითონ პროგრამაში წერია მეთოდები და ფორმები და არა აქტივობები. ძალიან ბევრ სილაბუსში არის ახსნილი და დალაგებული, უბრალოდ ექსპერტთა ჯგუფმა დააწესა მაღალი სტანდარტი, როდესაც რჩევები/რეკომენდაციები გასცეს. საბოლოოდ საბჭოს წევრების გადასაწყვეტია, მაგრამ ექსპერტმა დაწერა მეორე სტანდარტი და ძალიან ბევრი იმუშავა, ეს არის დასაწყისიდან Advance დონემდე მიყვანილი და რა თქმა უნდა სადოქტორო საფეხურზე ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ძირითადი სახელმძღვანელოები, არამედ დამატებითი სახელმძღვანელოები/რესურსები, რადგან სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მუშაობენ.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ეს ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ეს თემები ბაკალავრიატზე იწყება და პირველი არის დასაწყისი შემდეგ Advance დონემდე, მეორე სავალდებულო სახელმძღვანელოში ზემოაღნიშნულ სილაბუსში წარმოდგენილია ანოტაცია, რომ ეს არის დამამთავრებელი ბაკალავრიატისა და დამწყები მაგისტრატურის სახელმძღვანელო, მეორე სახელმძღვანელო ამას პირდაპირ აღნიშნავს, პირველის თანახმად კი ეს არის დამწყებიდან/Intro-დან Advance დონემდე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ იკითხა თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ჩააბარებს ისეთი, ვისაც ეკონომეტრიკა გაგებული არ აქვს.

საბჭოს წევრის თქმით ეს სხვა საკითხია, რაც ნიშნავს იმას, რომ მიღების წინაპირობები ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ დაწესებულებამ მიიღოს პროგრამის შესაბამისი დოქტორანტი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ ეს კამათის საკითხია და საბჭოს წევრების გადასაწყვეტია.

საბჭოს წევრის თქმით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბაკალავრის სისტემით უნდა ასწავლონ, მან ვერაფერი ნახა ამ საკითხის შესახებ და ამიტომ სურდა ექსპერტთა ჯგუფთან საკითხის დაზუსტება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა ამ პრინციპით და ყველა წარმოდგენილ სილაბუსში, განსაკუთრებით იმ სილაბუსებში, რომლებიც შესაძლებელია არ იცოდეს დოქტორანტმა ამ მიმართულებით, მარტივიდან რთულისკენ ყველაფერია ასახული, ხოლო იგივე მაკრო/მიკრო ეკონომიკა ზუსტად უფრო

მაღალი დონის უნდა იყოს და ამ საკითხთან დაკავშირებით დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ აკაკი ცომაიას სილაბუსი ერთ-ერთი საუკეთესოა ეკონომიკაში, სადოქტორო საფეხურზე.
საბჭოს წევრი, ნიკოლოზ კიკნაძე მიესალმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ არ ისაუბრებს მის დამოკიდებულებაზე დაწესებულების მიმართ, რადგან ისედაც ცნობილია მათთვის, მას სურდა პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დაესვა რამდენიმე შეკითხვა. მიზანთან დაკავშირებით მან იკითხა თუ რატომ გადაწყვეტეს პროგრამა ყოფილიყო „გამოყენებითი ეკონომიკა“ და არა „ეკონომიკა“, რა იყო ამის მაპროვოცირებელი.
სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, მაია გონაშვილმა განაცხადა, რომ მათი წინა პროგრამაც „გამოყენებითი ეკონომიკა“ იყო და ეს არის ზუსტად ის ნიშა, რადგან საქართველოში მხოლოდ ექვს უნივერსიტეტში ხორციელდება „ეკონომიკის“ პროგრამა და მისი მოსაზრებით უნივერსიტეტისთვის ფუფუნებაა, რადგან კვლევით ნაწილზეა ორიენტირებული, დაწესებულებამ დაიკავა თავისი ნიშა იმ სტრატეგიებიდან/მიზნებიდან გამომდინარე, რაც ზუსტად ეხება „გამოყენებით ეკონომიკას“.
საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ განაცხადა, რომ არ ისაუბრებდა იმაზე, თუ როგორ ხდება პროგრამის შემუშავება, 1. მიზნის ფორმირება, 2. სახელი, 3. სტრუქტურა. როდესაც მიზანში არ ჩანს გამოყენებითი ეკონომიკა ეს პრობლემას სხვა კომპონენტებშიც იწვევს, მან რჩევის სახით უთხრა დაწესებულების წარმომადგენლებს, კიდევ ერთხელ დაზუსტდეს მიზანი. მან კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, ისინი ხომ გაეცნენ სადოქტორო ნაშრომს, პროსპექტუსებს, კოლქოვიუმებს და იგი დაინტერესდა, თუ რამდენად იყო „გამოყენებითი ეკონომიკის“ პროფილის ნაშრომები?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორეფერატებს და პროფილი შეესაბამებოდა „გამოყენებით ეკონომიკას“, თუმცა რადგან რეგიონული უნივერსიტეტია ხომ არ აჯობებდა ყოფილიყო რეგიონალურ ეკონომიკურ ასპექტებზე მორგებული, ეს იყო მხოლოდ კითხვა, მაგრამ დაწესებულებამ გააკეთა თავისი არჩევანი, მათ ჩათვალეს, რომ სწორედ გამოყენებითი მიმართულებით შეესაბამება ყველაზე მეტად მათ მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე ამ საკითხზე მეტი არ უსაუბრიათ, თუმცა ექსპერტებმა გასცეს რჩევა, რომ დაზუსტებულიყო მიზანი, უკეთ გამოკვეთილიყო აღნიშნული ასპექტები, რაც შეეხება ფორმალურ ნაწილს ავტორეფერატი და ა.შ. ეს ყველაფერი ექსპერტთა ჯგუფმა ნახა, გადაამოწმა და იქ რაიმე, რაზეც შესაძლებელი იქნებოდა რეკომენდაციის გაცემა ვერ დააფიქსირა.
პროგრამის თანახელმძღვანელი, ლალი ჩაგელიშვილი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. მან განაცხადა, რომ საკმაოდ ხანგრძლივად საუბრობდნენ ამ საკითხზე და სწორედ ის თემატიკა, რომელიც არა მარტო ავტორეფერატების, არამდე დანარჩენი თემატიკებიც, რომლებიც მოიაზრებოდა აღნიშნული სადოქტორო პროგრამის მიმართულებით, შეესაბამება და გამომდინარეობს იქიდან, რომ ის ეხება უშუალოდ რეგიონის გამოყენებითი ეკონომიკის იმ ასპექტებს, რომლებიც რეგიონში დგას და მნიშვნელოვანია და ასევე სტრატეგიული მნიშვნელობაც გააჩნია. დაწესებულებამ ეს ხაზი აიღო გარკვეულწილად და ეს ჩაიდო ძირითადად პროგრამაში. თუ რამდენად ფართოდ/მკაფიოდ/ზუნდოვნად ჩანს მიზანში აღნიშნული, ეს სხვა ნაწილია, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენლები შეეცადნენ მიზანში ეჩვენებინათ ის აუცილებლობა, რომელიც რეგიონის გამოყენებითი ეკონომიკის ასპექტით არსებობს.
საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მასაც ჰქონდა იგივე კითხვა, რაც საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ დასვა. მან დასძინა, რომ რჩევის სახე ქონდა, რადგან პროგრამის სახელი ბრენდულია და კვალიფიკაციის შესაბამისი თუ არის პროგრამა, რადგან შესაძლებელია მხოლოდ ბრენდულად შერჩევა, თუმცა თუ დისერტაციები არის ამ კუთხით მიმდინარეს და დასტურდება, რომ ამ შედეგზე გასვლა სურთ საკითხი უფრო მძაფრი ხდება, რადგან ეს

რეალურად მიზნებში არ ჩანს, თუმცა პროგრამის აზრობრივ ნაწილში „გამოყენებითი ეკონომიკა“ კლასიკურად წარმოდგენილია მიკრო/მაკრო ეკონომიკა, იგი დაინტერესდა უფრო მიკროსკენ იხრება დაწესებულება თუ უფრო მაკროსკენ?
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ ორივე მიმართულებით შესაძლებელია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ თუ საუბრობენ საით შეიძლება იყოს გადახრილი თეორიულად შეიძლება იყოს ორივე, თუ კი კონკრეტულ შემთხვევაზე ისაუბრებენ უფრო მეტად წავა მიკროსკენ. მისი მოსაზრებით უფრო მიკროსკენ იხრება, თუმცა ხდებოდა გამოყენებითი ეკონომიკის ველში.
საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ თავისი არსით Applied Economics/გამოყენებითი ეკონომიკა ნიშნავს ფირმის ეკონომიკას, მიდიან იქამდე თუ როგორ გამოიყენონ პრაქტიკაში ეს ყველაფერი, ანუ პოლიტიკის დონეზე უფრო ნაკლებად უწყობს ხელს მის გამოყენებას, თუმცა ეს პროგრამის არქიტექტურასა და მიზნებში არ ჩანს, მას არ სურდა ამაზე აქცენტის გაკეთება, რამდენადაც ბრენდულად ჩათვალა სახელი, მაგრამ თუ დისერტაციაც ამ კუთხით მიდის და დაწესებულებას სურს ეს აკეთოს, მიზანშიც და აქტივობებშიც კარგად უნდა ჩანდეს.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, ლალი ჩაგელიშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს ვრცელი მიმოხილვისათვის. მან აღნიშნა, რომ უფრო არ ჩანს მაკროს ის ფაქტი, რომელმაც შეიძლება აფიქრებინოთ პროგრამა ხომ არ მიდის მაკროს კუთხით, რაც ნამდვილად არ მიდის და არც ჩანს.
საბჭოს წევრმა დასძინა, რომ თანაბრად მიდის და რთულია იმის თქმა რომ კონკრეტული გზა არის არჩეული.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, განაცხადა, რომ ვერც 50/50 ვერ იტყვიან, რადგან უფრო მეტი წილი, პრაქტიკულ ნაწილებში, თემატიკაში, კვლევებში, რომელიც მიმდინარეობს, მორგებული იყო მიკროს ჭრილზე, დარგის ჭრილზე, პროფილურ პრობლემებზე იქნებოდა ეს მომსახურებისა თუ წარმოების მიმართულებით.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ძალიან მოეწონა ის სტუდენტები, რომლებსაც შეხვდნენ, ინატრეს კიდეც, რომ ასეთი დოქტორანტები ყოლოდათ, რადგან თავის საქმეში იჯდნენ, ზოგიერთს თავისი სამსახურის გამო დროულად ვერ ჰქონდა დაცული და ა.შ., მაგრამ ძალიან მოეწონათ სტუდენტები და იმედოვნებენ, რომ საბოლოოდ ძალიან სერიოზულ თემებს დაიცავენ.
პროგრამის თანახელმძღვანელი, ლალი ჩაგელიშვილი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, ეკა გეგეშიძეს. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფმა საუბარშიც აღნიშნა, რომ დოქტორანტები თვითონ სვამენ პრობლემებს, რომლების გაშუქებაც უნდათ გამოყენებითი ეკონომიკის ჭრილში და ა.შ. თემატიკაც ზუსტად იმ სფეროს/მიმართულების, ზოგიერთის იმ სამუშაო სპეციფიკას მორგებულია მიკრო ჭრილში სადაც ისინი ხედავენ პრობლემას და სვამენ საკითხს ისე, რომ მათ შეუძლიათ დაძლიონ ამ პრობლემებზე მუშაობა, ამიტომ ეს არის მათი არჩევანი, არ არის თავზე მოხვეული და ამდენად უფრო მოქნილი/გამოყენებადია განსახილველი პროგრამა და ძალიან კარგია თუ ის ბრენდულ სახელთან იქნება დაკავშირებული, თუმცა დაწესებულებას ამაზე პრეტენზია არ ჰქონია, ეს მოდიოდა წმინდა პრაქტიკული და გამოყენების თვალსაზრისიდან, თუ გახდება ბრენდული სახელწოდება და დაწესებულება ამას გაამართლებს კარგი იქნება, მაგრამ თუ არა ეს მიზანში არ იყო თავიდან ჩადებული.
საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან ისაუბრა 4.1 სტანდარტში გაჩენილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია, რომ მიზანშეწონილია მოხდეს აკადემიური პერსონალის ზრდა, რაც სადოქტორო პროგრამის აკადემიურ მდგრადობას გაზრდის. ამასთან ერთად სადოქტორო პროგრამის მიზნებში აღნიშნული რეგიონალური საკითხების აქტუალიზაცია უფრო ეფექტიანი იქნება საკუთარი აკადემიური პერსონალის პირობებში. აღნიშნული კითხვა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ სასწავლო კომპონენტი შეადგენს 40 კრედიტს და როგორც ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნიდან/დაწესებულების თვითშეფასებიდან ჩანს, ხუთ დოქტორანტზე მეტის მიღება პროგრამაზე არ ყოფილა, იმის გათვალისწინებით, რომ რვა აკადემიური პერსონალი იყო ჩართული ვიზიტის დროს, ამასთანავე არიან მოწვეული პროფესორებიც, ასევე საუბარი იყო უცხოელ თანახელმძღვანელებზე, რომელებიც თავის მხრივ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია, საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველი პროგრამის სპეციფიკურობაა, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანია, არა სასწავლო 30 კრედიტი, არამედ ის თუ როგორ იქნება აწყობილი ამ 30 კრედიტის შემდგომ დოქტორანტთან მუშაობა, მთლიანად ეს პროცესი, რომელიც აღარ არის კრედიტები, მაგრამ არის დროში, აქ უნდა მოხდეს ყოველდღიური მუშაობა დოქტორანტთან, რაც თავის მხრივ მიანიშნებს, რომ ეს უნდა იყოს კადრების მომზადების ერთ-ერთი მექანიზმი უმაღლესისათვის.

ექსპერტთა ჯგუფს ძალიან მოეწონა დაწესებულების დოქტორანტები, თუმცა არცერთს არ უთქვამს, რომ თავის მომავალს ხედავს აკადემიურ სივრცეში, რაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს გაუკვირდა კიდეც, რადგან ძალიან მოეწონა ისინი. დოქტორანტებს აქვთ თავისი კვლევის მიმართულება და ძალიან კარგია, რომ ისინი ჩაჯდნენ აღნიშნულ პროგრამაში, მაგრამ ამით იყო გამოწვეული აღნიშნული რეკომენდაცია და თვლიან რომ უფრო მეტი უნდა იყოს, მაგრამ თუ უმაღლესმა უკვე გაზარდა პერსონალის რაოდენობა და ერთი ადამიანი კიდევ დაიმატეს ექსპერტთა ჯგუფისთვის მისასალმებელია.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ როგორც სასწავლო გეგმიდან ჩანს, 5 კრედიტის ათვისება დოქტორანტს შეუძლია უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში, აკრედიტებულ პროგრამაზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ უშუალოდ რომელ უნივერსიტეტებში შეუძლიათ აღნიშნული პროგრამის დოქტორანტებს კრედიტის მიღება?

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, შალვა ჭკადუამ განაცხადა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს ძალიან ბევრ, ევროპულ უნივერსიტეტთან. შესაბამისად აქვთ გაცვლითი პროგრამები, სემესტრების განმავლობაში სტუდენტებს ეძლევათ საშუალება ისარგებლონ ამ ნაწილში და შესაბამისად იქ ათვისებული სასწავლო კრედიტისთვის კურიკულუმში გამოყვეს ადგილი და მისცეს შესაძლებლობა, რომელიც კანონმდებლობით გაწერილი პროცედურაა და ცენტრთან აქვთ ხელშეკრულებები გაგზავნილი აფილირებასა და ა.შ. საკითხებზე, რომ როდესაც სტუდენტი ჩამოვა, დაწესებულებას ჰქონდეს კრედიტების აღიარების საშუალება, რომელსაც სტუდენტები გაივლიან უცხოეთის უნივერსიტეტებში, ეს არის ესპანეთის, გერმანიის, პორტუგალიის უნივერსიტეტები და სხვა, რომელთაც მისცეს შესაძლებლობა ინტერნაციონალიზაციის ნაწილის უფრო მკვეთრად წარმოჩენის კუთხით, რომ საერთაშორისო პროექტებში ათვისებული კრედიტები ჩათვლოდათ კურიკულუმის ნაწილად.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ თვითონაც შეუძლია თქვას, რომ როდესაც სადოქტორო კვლევას ატარებდა ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში, შეხვდა აღნიშნული უნივერსიტეტის დოქტორანტებს.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილი საერთაშორისო „ონლაინ“ კონფერენციებთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით დაინტერესდა, თუ რატომ მხოლოდ „ონლაინ“ კონფერენციები, რატომ არის დაკონკრეტებული, რადგან როდესაც პანდემია დასრულდება საჭირო იქნება მონაწილეობის მიღება ჩვეულებრივ კონფერენციებშიც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ რა თქმა უნდა, მოიაზრება, მაგრამ 150 ლარის პირობებში საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობა „ონლაინაც“ კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია გაწერეს, რადგან თუ დაფინანსდება „ონლაინ“ კონფერენციები საკმარისი იქნებოდა, რადგან ეს არის ძალიან ძვირი ფუფუნება ერთი დოქტორანტი გაუშვან, რათა მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაში, ამაში აბსოლუტურად ეთანხმება, რომ ძვირი დაჯდება, მაგრამ „ონლაინ“ კარგი კონფერენციები, რეიტინგული, რომელსაც აქვს DOI, აქვს როგორც მინიმუმ სტანდარტები ერიხ+ შედარებით

ნაკლებია, თუ აქვს უფრო მაღალი რეიტინგები იქ 250-300 ევროდან იწყება მხოლოდ მონაწილეობის თანხა, ამიტომ, ამით იყო გამოწვეული და ექსპერტთა ჯგუფმა არ გასცა რეკომენდაცია, რომ სრულად დაეფინანსებინათ კონფერენციაში მონაწილეობა. შესაძლებელია თანადაფინანსება, თუ დოქტორანტი იტყვის, რომ მონაწილეობა დაუფინანსონ და დანარჩენს თვითონ გააკეთებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, შალვა ჭკადუამ განაცხადა, რომ აქტიური დოქტორანტისთვის ძალიან დიდი თანხებია საჭირო, რომ სრულად დაფინანსდეს მისი კვლევითი საქმიანობა და სფეროში ინტეგრირება, ეს ფუფუნებაა, თუმცა მასაც ძალიან გაუხარდებოდა სრული მხარდაჭერა, როდესაც იყო დოქტორანტი, მაგრამ ამ ეტაპზე სრული მხარდაჭერა დაწესებულებისთვის შეუძლებელია. მას სურდა აქცენტი გაეკეთებინა იმაზე, რომ ბიუჯეტი, რომელიც პროგრამისთვისაა გამოყოფილი კვლევითი კომპონენტის დასაფინანსებლად და ჯამში ეს თანხები ადის 3500 ლარამდე,

რექტორმა, ირმა შიოშვილმა დააზუსტა, რომ თანხები ადის 4500 ლარზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ სთხოვა დაეზუსტებინა ეს თანხა იხარჯებოდა ერთ წელიწადში, თუ სამ წელიწადში?

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს თანხა იხარჯებოდა სამ წელიწადში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სწორედ ამაზე იყო საუბარი, რომ გაიწეროს ეს საკითხი, რადგან ზუსტად იცოდნენ საუბარია ერთ წელზე, თუ სამ წელზე?

რექტორმა განაცხადა, რომ საუბარია სამ წელზე ერთ დოქტორანტზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამ თანხების ფარგლებში თუ დოქტორანტი წარადგენს კონკრეტულ პროექტს, რომელიც იქნება ორიენტირებული იმაზე, რომ პროექტის ფარგლებში მან შედეგები უნდა წარადგინოს რომელიმე კონფერენციაზე ეს აბსოლუტურად ჩვეულებრივად, მიღწევადი ამბავია და თანხების ნაწილში არ ჩანს პრობლემა, ბიუჯეტის ფარგლებში ძალიან ზუსტად გაწერილი/რეალისტური შესაძლებლობებია, რაც დაწესებულებას შეუძლია, რომ გააკეთოს.

რექტორმა განაცხადა, რომ ბიუჯეტი კიდევ გაიზრდება.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, ლალი ჩაგელიშვილმა განაცხადა, რომ ასევე არის საშუალება, რომელიც დაწესებულებამ არ გამორიცხა, საერთაშორისო კონფერენციები იმართება საქართველოშიც და უცხოეთში წასვლა მაინცდამაინც აუცილებელი არ არის. არაერთი კარგი კონფერენცია გაუმართავს ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტს უნივერსიტეტების თანამონაწილეობით/პარტნიორობით, რომელიც ჯდება გაცილებით იაფი ვიდრე სხვა ქვეყანაში წასვლა და იქ მონაწილეობა კონფერენციაში, ამ საკითხებზე მუშაობა უკვე დაწყებულია, რომ ინსტიტუციები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ევროპის სამეცნიერო უნივერსიტეტის პარტნიორებში, ისინი კიდევ უფრო მეტ შეღავათებს ფლობენ იმასთან მიმართებაში, რასაც ქვია სტუდენტების, დოქტორანტებისა თუ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა. დაწესებულებას ამ კუთხით ბევრი აქვს ნაფიქრი. მან აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, აკრედიტაციის საბჭო მიიღებს, მაგრამ პროგრამაზე ნაფიქრი/ნამუშევარი ბევრია, თუმცა გასაკეთებელიც ბევრია, დაწესებულების წარმომადგენლებმა იციან, საიდან, როგორ და რა მიმართულებით უნდა გაკეთდეს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პრობლემების დანახვაში მათ დაეხმარათ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებაც, ვიზიტის დროს, რჩევები/რეკომენდაციები, რაც შესაძლებელია დაწესებულების წარმომადგენლებს გამორჩათ/ვერ დაინახეს, წინა პლანზეა წამოწეული, ასევე დაწესებულება შესაძლებლობებისა და ადეკვატურობის ფარგლებში ყოველთვის ამუშავებს ხოლმე პროგრამას. თუ ნახავენ წინა აკრედიტაციის რეკომენდაციები როგორ ფრთხილად/მოზომილად არის ასახული შემდეგ პროგრამაში, მიხვდებიან, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ნამდვილად მუშაობენ ამ მიმართულებით. რაც შეეხება, კვლევით მუშაობას უნივერსიტეტში ეს უკვე სხვა

განზომილებაშია გადატანილი და მთლიანად მობილიზებულნი არიან იმ მიმართულებით, რომ ძალიან ფრთხილად შეარჩიონ საკვლევი თემატიკა, ფრთხილად შეარჩიონ სადოქტორო მიმართულებებიც, რაზეც სურთ, რომ ასწავლონ და მოიძიონ რესურსები, რაც მთავარია, ამ ნაწილში რექტორიდან დაწყებული თითოეული პროფესორით დამთავრებული პროექტი იქნება, აკადემიური რესურსი თუ საერთაშორისო პროექტი, მუდმივი/სწორხაზოვანი ტენდენციაა, მაგ., 4-5 წლის წინ უნივერსიტეტში რა სიტუაცია იყო და დღეს რა სიტუაციაა ამის ნათელ სურათს დებს. დაწესებულებას აქვს აკრედიტაციის საბჭოს მხარდაჭერის იმედი, რომ მისცემენ ამ მხრივ განვითარების საშუალებას, რაც მათი თვითშეფასებით სწორხაზოვნად ზევით მიდის. მან მადლობა გადაუხდა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს მოსმენისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დიდი ხანი მსჯელობდნენ, თუმცა ისეთი საკითხია, რომელიც იმსახურებდა სიღრმისეულ კვლევასა და მსჯელობას, რადგან საბჭო სადოქტორო პროგრამებს ყოველთვის დაწვრილებით განიხილავს, სხვა პასუხისმგებლობაა, სხვა თემატიკაა და რაც მთავარია ეს არ არის რიგითი საგანმანათლებლო პროგრამა, უკვე კვლევაა და სერიოზული განაცხადია.

საბჭოს წევრის, ნინო დობორჯგინიძის თქმით მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის საკითხია, არსებობს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების თანაფარდობის გარკვეული წესი, ზოგადი პრაქტიკიდან გამომდინარე არ ახსენდება, რომ ხუთი დოქტორანტის მიღების შემთხვევაში რვა პროფესორი ცოტა ყოფილიყო და თუ ეს არ აღემატება უნივერსიტეტის დადგენილ წესს დამატებითი არგუმენტები აქვთ ალბათ თუ რატომ არის რვა პროფესორის აკადემიური პოტენციალი ცოტა.

მას ასევე აინტერესებდა, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სახელმწიფო უნივერსიტეტია და მათ ხაზინა ავალდებულებს, როგორ უნდა გაწერონ ბიუჯეტი და მას შემდეგ პროგრამების/ფაკულტეტების მიხედვით გაწერა თუ ა.შ., შესაძლებელია ასე აჯობოს, მაგრამ ეს უფრო რჩევა უნდა იყოს თუ რეკომენდაცია, რადგან მასთანაც, როგორც ინსტიტუციის წარმომადგენელთან, ხშირად ჰქონიათ ექსპერტებს მსგავსი კითხვა და დაწესებულების პოზიცია იყო, რომ ზოგ ფაკულტეტზე ფაკულტეტების მიხედვით არის გაწერილი, ან რამ უბიძგა ექსპერტთა ჯგუფს ამის რეკომენდაციად ჩამოყალიბებისკენ?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რვავე პროფესორი არ არის „გამოყენებითი ეკონომიკის“ სპეციალისტი, ეს სპეციფიკური კვლევის თემა და ობიექტია, რაზეც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საუბარი, რომ სხვა იყო დაფიქსირებული და მასთან შეწყვეტილი იყო შრომითი ხელშეკრულება, სწორედ ის იყო ეკონომეტრიკის სპეციალისტი, აქედან ამოდიოდნენ როდესაც მდგრადობის შესახებ რეკომენდაციას გასცემდნენ, რომ ყველაფერი ერთად, კომპლექტში განიხილეს, საუბარი არ არის იმაზე ციფრი აკმაყოფილებთ თუ არა, ციფრი შეიძლება ემთხვევა, მაგრამ შეუძლია თუ არა ყველას წაიყვანოს „გამოყენებითი ეკონომიკის“ კურსები?

ბიუჯეტთან დაკავშირებით მისი თქმით, საუბარი იყო იმაზე, რომ რაც არის წარმოდგენილი, ყოფილიყო ნათლად გაწერილი, რადგან არ ყოფილიყო ერთ ადგილას წარწერა - ეს ხარჯი არის ერთი წლის, მეორეგან - ეს ხარჯი არის სამი წლის. სამი წლის უნდა გადაიყვანონ ერთ წელზე, ერთ წელზე არის ხუთი სტუდენტი, მეორე წელს ოთხი, ერთ წელს ხუთზე უნდა გაიყოს, მეორე წელს ოთხზე, სწორედ ეს იყო რეკომენდაციის არსი, რომ ნათლად ჩანდეს პროგრამასთან აფილირებული ხარჯები. სადოქტორო პროგრამის მომგებიანობასთან დაკავშირებით არავინ არაფერს ამბობს, რადგან სადოქტორო პროგრამა არ უნდა იყოს მომგებიანი, ეს ფუფუნებაა, ეს უნდა იყოს შეგნებული ნაბიჯი, რომელსაც გადადგამს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომ ის მიდის ამ ხარჯებზე, რადგან მას სჭირდება მოამზადოს დოქტორები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:37
დასრულების დრო: 18:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის I სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; IV სტანდარტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; V სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და ორი წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 3

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნები და დაზუსტდეს ისინი იმგვარად, რომ პირდაპირ კავშირში იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასა ან პროგრამის სახელწოდებასთან;
2. დაზუსტდეს და გადაიხედოს პროგრამის შედეგები იმგვარად, რომ სასწავლო კურსებიდან პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფდეს შედეგების მიღწევადობას;
3. შედეგები განისაზღვროს იმგვარად, რომ პირდაპირ უკავშირდებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ სპეციფიკას, ან მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
4. დაიხვეწოს სადოქტორო პროგრამა იმგვარად, რომ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილი იძლეოდეს კვლევითი უნარების უკეთესად გამომუშავებასა, მიზნებისა და შედეგების მიღწევის უკეთეს შესაძლებლობას;
5. გადაიხედოს სავალდებულო და არჩევითი საგნების სილაბუსები, როგორც თემების, ისე შესაბამისი სასწავლო ლიტერატურის წყაროების მიხედვით და მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ შესაბამისობაში მოვიდეს სადოქტორო სწავლების საფეხურთან, მის მიზნებსა და შედეგებთან;
6. გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა უშუალოდ გამოყენებითი ეკონომიკის მიმართულებით;
7. ასევე მიზანშეწონილია განისაზღვროს სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხები და გაიწეროს ამ თანხების განაწილების მექანიზმი;
8. მიზანშეწონილია განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობის კონცეპტუალური მიდგომები (ხარჯების ნაწილის დაფარვა, ერთობლივი პროგრამები, ხარჯების გაზიარება თუ სხვა რამ). ამის შესაბამისად უნდა გაიწეროს საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტი, განისაზღვროს კრიტიკული ნიშნულები/ინდიკატორები, დაწესდეს სადოქტორო პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების პირობები;

9. გაძლიერდეს ხარისხის შეფასების მექანიზმი, განსაკუთრებით პროგრამის მიზნებისა და შედეგების ფორმულირებისა და უშუალოდ პროგრამასთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;

რჩევებშიგადავიდაშემდეგირეკომენდაციები და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. მიზანშეწონილია დაფინანსდეს დოქტორანტების მიერ მაღალრეიტინგულ გამოცემებში მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება;
2. სილაბუსებში დაზუსტდეს სწავლება-სწავლის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
3. სასურველია სადოქტორო ნაშრომის შეფასების პროცედურა და გადაწყვეტილების მექანიზმი ფორმულირებული იქნას იმგვარად, რომ არ იძლეოდეს ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას;
4. მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტში განსაზღვრული იყოს სამეცნიერო კონფერენციებში, განსაკუთრებით საზღვარგარეთ გამართულში მონაწილეობის ხარჯები. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო „ონლაინ“ კონფერენციებში. ასევე უნდა მოხდეს დოქტორანტების, თუნდაც ნაწილობრივი დაფინანსება საერთაშორისო „ონლაინ“ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად;

გადაწყვეტილება:

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად შსსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენისა და 2 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

17:56 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა ნიკოლოზ კიკნაძემ.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№67, 22.07.2015
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სპორტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სპორტი 1014
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი №49, ქ. თბილისი, 0162, საქართველო
15	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტი სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა დისტანციურად, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში

გახლდნენ: გოდერძი ბუჩაშვილი, ვახტანგ თებიძე, ზურაბ კაკაბაძე და ლევან მერაბიშვილი. მათ შეამოწმეს „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა, ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 12 დეკემბერს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 1 ეხება თვითშეფასების ჯგუფში წარდგენილ პირებს, რომლებსაც შეხვდენენ ექსპერტა ჯგუფის წევრებ, ისინი საკმაოდ მომზადებულნი იყვნენ, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს დააკლდა დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები, ვისგანაც შესაძლებელია მეტი ინფორმაცია მოეპოვებინათ პროგრამის შესახებ, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, რომ თვითშეფასების ჯგუფში სასურველია შედიოდნენ სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, რომლებიც სრულყოფილად და ობიექტურად უზრუნველყოფენ მიმდინარე პროგრამის შეფასებას;
რეკომენდაცია 2 გაწერილია უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის დროს უთხრეს, რომ პროგრამას დაემატა კომპონენტი, უცხო ენების კუთხით გაიზარდა კრედიტების მოცულობა, თუმცა ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აღნიშნულ კომპონენტს დაწესებულებამ შეხედოს არა, როგორც ინგლისური/რუსული ენების სწავლების კუთხით, არამედ სხვა ენების სწავლების კუთხითაც, რათა გააძლიეროს პროგრამაში, რადგან სამომავლოდ მწვრთნელი, სპორტი, საერთაშორისო, ინტერნაციონალიზაცია, ამ კუთხით სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს სჭირდებათ ენის ცოდნა, რომ მეტად წარმოაჩინონ საქართველო, გაიარონ საერთაშორისო პრაქტიკა ან მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროექტებში, შესაბამისად ქესპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია პროგრამაში სხვა ენების შეთავაზებასთან ერთად, უცხო ენების სწავლებისთვის გამოიყოს უფრო მეტი კრედიტი;
რეკომენდაცია 3 ეხება უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებს, რომელიც არის ცალკე შიდა გამოცდა და აბიტურიენტები აბარებენ ნორმატივებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტიში მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის პირობები უნდა ითვალისწინებდეს შშმ პირთა სპორტისა და პარაოლიმპიური მოძრაობით დაინტერესებული პირების შერჩევასაც;
რეკომენდაცია 4 - რეკომენდებულია ინგლისური ენის სასწავლო კურსში შუალედური და დასკვნითი შეფასებისას, მოცემული კურსის სწავლის შედეგების შესაბამისად, ასევე გამოყენებული იყოს მოსმენა/საუბრის უნარების შეფასება და არ იყოს წარმოდგენილი მხოლოდ ტესტური სახით;
რეკოემენდაცია 5 - რეკომენდებულია პროგრამა ითვალისწინებდეს თავისუფალი კრედიტების არსებობას სასწავლო გეგმაში, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი თავისუფლება და არჩევანის საშუალება მათთვის საჭირო და საინტერესო ცოდნის შესაძენად, ასევე მეტად გაიფართოვონ თვალსაწიერი, რაც მათ სჭირდებათ;
რეკომენდაცია 6 ეხება დამსაქმებლის ჩართულობას, დამსაქმებლები ძალიან აქტიურად იყვნენ წარმოდგენილნი, მათ ძალიან სურადათ, რომ ეთანამშრომლათ უნივერსიტეტთან, მათი აზრები/მოსაზრებები/იდეები ყოფილიყო გაზიარებული, დაწესებულებას ჰყავს დამსაქმებლები, თუმცა უფრო მეტად უნდა იყოს ეს ჯგუფი უნივერსიტეტთან ასოცირებული და მოწესრიგებული იყოს ფორმალური მხარე, გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები, ძალიან კარგი იქნებოდა მათი ჩართულობა აღნიშნულ პრცესში, რაც უნივერსიტეტსაც წაადგება და დამსაქმებლებსაც, რომელთა მოსაზრებებიც პროგრამის შემუშავებაშიც უფრო მეტად იქნებოდა გათვალისწინებული, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ დამსაქმებლები უფრო მეტად იყვნენ წარმოდგენილნი პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესსა და პრაქტიკის განხორციელების ნაწილში.

მან სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, რათა სურვილის შემთხვევაში ესაუბრათ რეკომენდაციების შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ზურაბ კაკაბაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის შეჯერებული პოზიცია, რაც ერთად გაიარეს და შესაბამისად ექსპერტებს არ აქვთ რაიმეს დამატების სურვილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

რექტორი, ჯემალ ძაგანია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით სასაუბროდ მან სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, მაია ხურცილავას.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მაია ხურცილავა მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი მუშაობისა და საინტერესო რჩევა/რეკომენდაციებისათვის. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გარე შეფასების ნაწილში აქტუალურ საკითხებზე გაამახვილებინა ყურადღება, რომელიც მომავალში გააძლიერებს პროგრამას. დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ექვსივე რეკომენდაციას, თუმცა მას სურდა თითოეული რეკომენდაციის დეტალებზე გაემახვილებინა ყურადღება.
რეკომენდაცია 1, სადაც საუბარია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვის ხელშეწყობაზე, მან განაცხადა, რომ პროგრამა სპეციფიკურია და გარდა ეროვნული გამოცდებისა, ითვალისწინებს შიდა საუნივერსიტეტო ტურს, რომელიც სავალდებულოა და ტარდება ეროვნულ გამოცდებამდე, შესაბამისი პროცედურების დაცვით, რამდენიმე თვით ადრე კეთდება განცხადება, აპლიკანტებს/აბიტურიენტებს შეაქვთ განაცხადი, შემდეგ ხდება ინდივიდუალური საჭიროებიდან იმის დადგენა თუ რა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი აპირებს სწავლის გაგრძელებას აღნიშნულ პროგრამაზე და შემდეგ სპეციფიკის გათვალისწინებით მათთვის ხდება ადაპტაცია. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას აქვს ამის გამოცდილება, კურსდამთავრებულიც კი ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, შესაბამისად თუ არ იქნებოდა დაცული პროცედურა, ვერც გახდებოდა მათი სტუდენტი, რაც შეეხება სწავლებას, მას არანაირი შეფერხება არ ჰქონია, მისთვის შემუშავებული იყო ინდივიდუალური გეგმა, რომლის ფარგლებში მან ისწავლა, მიენიჭა კვალიფიკაცია და შემდეგ დასაქმდა;
რეკომენდაცია 2, რომელიც ეხება უცხო ენის კომპონენტს, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტამდე კანონმდებლობით დაშვებულ ვადაში გადააგზავნა განახლებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც 4 სემესტრის განმავლობაში ისწავლება უცხო ენა. რაც შეეხება მეორე უცხო ენის კომპონენტის დამატებას, მისი მოსაზრებით ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან უნივერისტეტს ფართო თანამშრომლობა აქვს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან საერთაშორისო კუთხით და მათი სტუდენტები გაცვლით პროექტებში მონაწილეობენ, მაგ., ესპანეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან პარტნიორობენ, რომელსაც აქვს ინგლისურენოვანი კურსები, მაგრამ უფრო ფართო არჩევანს სთავაზობს სტუდენტს, თუ მას ეცოდინება ესპანური ენა, ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა კვლევა/კითხვარი ჩაატარა, რომელი ენების სწავლას ისურვებენ სტუდენტები და როგორ აქვთ საკუთარი მომავალი დაგეგმილი, შესაბამისად დაწესებულება გეგმავს მომავალი სემესტრიდან რამდენიმე ევროპული ენა შესთავაზოს სტუდენტებს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში;
რეკომენდაცია 5 და რეკომენდაცია 6, რომელებიც ითვალისწინებს დამსაქმებლებისა და სტუდენტების ჩართულობას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე შემუშავების ჯგუფში, რომელიც ბრძანებით იყო დამტკიცებული, ნამდვილად არ იყვნენ დამსაქმებლები და სტუდენტები, თუმცა მათთან ინდივიდუალურად თანამშრომლობდნენ თვითშეფასების პროცესში, ამას ადასტურებს

გამოკითხვის შედეგებიც. ვიზიტის ფარგლებში იყვნენ ისეთი დამსაქმებლები, რომლებიც უშუალოდ არ გამოეხმაურნენ თვითშეფასების/პროგრამის შეფასების დროს, მათ არ მიუღიათ უშუალო მონაწილეობა, შესაძლებელია მისმა თანამშრომელმა ან ხელმძღვანელმა შეაფასა პროგრამა, თუმცა დამსაქმებლებისა და სტუდენტების როლი ძალიან მნიშვნელოვანია და ასევე, იზიარებენ აღნიშნულ რეკომენდაციას, რომ უფრო ფართო სპექტრით იყვნენ ჩართულნი, რადგან დაწესებულების საქმიანობის დამკვეთები არიან, ისინი გადიან შრომის ბაზარზე, დაწესებულება თანამშრომლობს მათთან და აცნობიერებს საჭიროებას.
მე-4 რეკომენდაციას, რომელიც ეხება ინგლისური ენის შეფასებას, დაწესებულება იზიარებს და ამასთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ უკვე აისახა შუალედურ და დასკვნით შეფასებაში, რადგან საგნის სწავლის შედეგი ითვალისწინებს ოთხივე კომპონენტის მიღწევას, შესაბამისად დაწესებულებას გააზრებული აქვს, რომ ოთხივე კომპონენტში უნდა მოხდეს სტუდენტის შეფასება.
პროგრამის ხელმძღვანელი, გიორგი ზუბიტაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ სრულად იზიარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, დაწესებულება სრულ მზაობას გამოთქვამს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევა/რეკომენდაციების გათვალისწინებისა და პრაქტიკაში გატარებისთვის.
თვითშეფასების ჯგუფში დაინტერესებული მხარეების გაფართოების საკითხთან დაკავშირებით (რეკომენდაცია 4) მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ამას აუცილებლად შეასრულებს და სრულად იზიარებს მას.
რექტორმა, ჯემალ ძაგანიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, რომლებიც დილიდან-საღამომდე დისტანციურ რეჟიმში მუშაობდნენ, მათ შეამოწმეს აბსოლუტურად ყველა ნაწილი, რაც დაკავშირებული იყო აკრედიტაციასთან. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებისთვის შენიშვნები არ მიუცია, წარადგინეს მხოლოდ რეკომენდაციები, რომლებსაც დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს, რადგან ნებისმიერმა პროგრამამ რამდენჯერაც არ უნდა გაიაროს აკრედიტაცია ის ცოცხალი ორგანიზმია და ყოველთვის სჭირდება განვითარება, რაც აღნიშნულია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებში და დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა კიდეც რამდენიმე რეკომენდაცია. განსახილველი პროგრამა თანხვედრაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან, რადგან დაწესებულება 2015 წლიდან გაწევრიანებულია მსოფლიოს სპორტის უნივერსიტეტების ასოციაციაში, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს ყოველწლიურად მოხვდეს საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ხან „ონლაინ“ რეჟიმშია, მაგ., 2018 წელს მსოფლიოს 54 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები იყვნენ თბილისში, ეს იყო 3 დღიანი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ყოველწლიურად იმართება. დაწესებულების წარმომადგენლები ჩართულნი არიან ამ მუშაობაში და ფიქრობენ, რომ პროგრამა, რომელიც ემსახურება სპორტის მწვრთნელის მომზადებას ყოველ ჯერზე უფრო გააუმჯობესონ და მიაღწიონ იმ დონეს, რომ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში შემცირდეს რეკომენდაციების რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

18:23 საათზე საბჭოს დატოვა ეკა ეკალაძემ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:26
დასრულების დრო: 18:29

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

18:31 საათზე საბჭოს შემოუერთდა ეკა ეკალაძე.

3. მესამე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№37, 16.03.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ისტორია და არქეოლოგია 0222
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის ქ. №68, ქ. გორი, 1400, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№40, 19.03.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საქართველოს ისტორიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ისტორია და არქეოლოგია 0222
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის ქ. №68, მეორე სასწავლო კორპუსი, ქ. გორი, 1400, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე და მეოთხე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, თეიმურაზ პაპასქირი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან ნაწილობრივ არის შესრულებული რეკომენდაცია 4, რომელიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „გადამუშავდეს ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორიის (1945 წლიდან დღემდე) კურსი და მისი თემატიკა შესაბამისობაში მოვიდეს საგნის სათაურთან. გარდა ამისა, შეიცვალოს ძირითადი სახელმძღვანელო და სილაბუსი გამდიდრდეს უახლესი ლიტერატურით“, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსი შესაბამისობაში მოვიდა მის სათაურთან, მაგრამ სახელმძღვანელოებში ცვლილება არ მომხდარა და სილაბუსს თითქოს დაემატა უახლესი ლიტერატურა, მაგრამ ორივე სახელმძღვანელო მანამდეც იყო მითითებული და არცერთი არ შეესაბამება აღნიშნულ პერიოდს, შესაბამისად რეკომენდაცია ჩაითვალა, როგორც ნაწილობრივ შესრულებული, რადგან სილაბუსი გადამუშავდა და თემატიკა შესაბამისობაში მოვიდა მის სათაურთან, თუმცა არის სახელმძღვანელოების პრობლემა, რაც იოლი გასასწორებელი იყო, თუმცა ექსპერტი არ გამორიცხავს ტექნიკურ ხარვეზსაც.
ასევე ნაწილობრივ შესრულდა რეკომენდაცია 7, რომელიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „შემუშავდეს საკურსო ნაშრომის ახალი, მაგისტრატურის დონესთან შესაბამისი კრიტერიუმები“, ექსპერტმა განაცხადა, რომ ვინაიდან აკრედიტაციის პროცესში თვითონ იყო თავმჯდომარე, ახსოვს კრიტერიუმებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა, რომელიც ძირითადად ეხებოდა ფორმულირებებს: „პრობლემა გადაჭრილია სრულყოფილად“ და „მოცემულია სრულყოფილი ანალიზი“, რაც, მისი თქმით, ბაკალავრიატის ან თუნდაც მაგისტრატურის ძალიან მოკლე ნაშრომში შეუძლებელია, პრობლემა სრულყოფილად ვერ გადაიჭრება და ვერ მოხდება მისი სრულყოფილი ანალიზი, შესაბამისად, აქცენტი გაკეთებული იყო სიტყვაზე „სრულყოფილი“. სხვა მხრივ გასწორდა ის, რომ შემუშავებისა და გაფორმების ინსტრუქციაა შემუშავებული, განისაზღვრა სტრუქტურა და პარამეტრები, გამოყენებული ლიტერატურის წესი, რაც პრინციპში ადგენს თუ როგორ უნდა შეფასდეს ნაშრომი, მაგრამ სიტყვა „სრულყოფილზე“ იყო პრობლემა. მისი თქმით ზუსტად იგივე შენიშვნაა ზუსტად სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით.
მისივე თქმით, საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაცემული დანარჩენი ყველა რეკომენდაცია სრულად შესრულებულია. გარდა ზემოხსენებული რეკომენდაციისა სამაგისტრო საფეხურზე გაცემული რეკომენდაცია 6: „სამაგისტრო საფეხურის მიზნებიდან

გამომდინარე ისწავლებოდეს შესაბამისი კვლევითი მეთოდები“, რომელთან დაკავშირებითაც დაწესებულების ანგარიშში აღნიშნულია: „სასწავლო კურსში „კვლევის თანამედროვე მეთოდები და დიზაინი“ გაძლიერდა ისტორიული კვლევის კომპონენტი. სასწავლო კურსის შინაარსში შევიდა ცვლილება და სალექციო თემებს დაემატა: ისტორიის კვლევის შედარებითი და ქრონოლოგიური მეთოდები. წარსულის რეკონსტრუქცია, როგორც ისტორიის კვლევის საბაზო მეთოდი“, თუმცა თანდართულ დოკუმენტაციაში, სილბუსი 2 ან 3 ადგილას არის წარდგენილი და ზემოაღნიშნული თემები მასში შეტანილი არ არის, ამავდროულად ასახულია ცვლილებები საკურსო ნაშრომის შექმნის შესახებ, ეს არ იყო ძველი სილაბუსი. ექსპერტი არც ამ შემთხვევაში გამორიცხავს ტექნიკურ ხარვეზს და შემთხვევით ძველი სილაბუსის წარდგენას, მაგრამ ფაქტია, რომ რეკომენდაციის შესრულების შესახებ ინფორმაცია დოკუმენტაციით არ დასტურდება და შესაბამისად დასკვნაში რეკომენდაცია შესრულებულად ვერ ჩაითვლებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

რექტორი, გიორგი სოსიაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის პატივია ასეთი რანგის ექსპერტების სტუმრობა მათთან, გეგმავენ გაითვალისწინონ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი რეკომენდაციები, რადგან პროგრამა ორიენტირებულია განვითარებაზე და როგორც მას აქვს ინფორმაცია ზემოაღნიშნული საკითხები აღმოფხვრილი/გასწორებულია, ზოგიერთ მათგანზე იყო ტექნიკური უზუსტობა, რომელიც გამოვლენილი და შესრულებულია, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლები აკრედიტაციის პროცესში დაეთანხმნენ რეკომენდაციებს/რჩევებს და პრაქტიკულად ყველაფერი გასწორებულია. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტს, თეიმურაზ პაპასქირს საქმიანი რჩევებისთვის/რეკომენდაციებისთვის, რომლებიც ნამდვილად წაადგება აღნიშნულ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებს.
სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ოთარ ჯანელიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისთვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს ბევრი რეკომენდაცია. სილაბუსებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი მიმდინარე სემესტრში ისწავლება, სილაბუსი შეცვლილია ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებით, მაგრამ პანდემიის გამო, ცოცხალი კომუნიკაციის ნაკლებობის პირობებში შეცდომით აიტვირთა ძველი სილაბუსი. მან გამოთქვა მზაობა ახალი სილაბუსის მიწოდებისთვის, რომელიც ვებ-გვერდზეც დევს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან მიდოდაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. კრიტერიუმებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პირველივე დასკვნის შემდეგ აღნიშნული საკითხი სიღრმისეულად გაიარეს, თუმცა დაწესებულება ვერ იზიარებს ექსპერტის პოზიციას, რადგან „კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს“ მიხედვით ასეთი ფორმულირება „პრობლემის გადაჭრა“ წარდგენილია ფაქტობრივად პირველი საფეხურიდან ყველა საფეხურზე, თუმცა იგულისხმება, რომ პრობლემა არის სხვადასხვაგვარი. პრობლემა, რომელიც უნდა იქნას შეთავაზებული საბაკალავრო დონეზე განსხვავდება თავისი სიღრმით, სირთულით სამაგისტროსაგან და თავის მხრივ სადოქტოროსგან, შესაბამისად ფორმულირება, რომ პრობლემა სრულყოფილად არის გადაჭრილი არ ნიშნავს იმას, რომ ბაკალავრი გადაწყვეტს სადოქტორო საფეხურისათვის შესაბამის პრობლემურ საკითხს სრულყოფილად. მისი მოსაზრებით დაწესებულებისა და ექსპერტთა ჯგუფის განსხვავებული პოზიციები გამოწვეულია პრობლემის დეფინიციით.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სიტყვა „სრულყოფილი“ ქმნის პრობლემას, თუ ჩაიწერებოდა მხოლოდ „პრობლემის გადაჭრა“, ანუ პრობლემა გადაწყვეტილია. მისი მოსაზრებით „სრულყოფილი გადაწყვეტა“ გულისხმობს, რომ საბაკალავრო დონეზე, შესაძლოა, 5 სახელმძღვანელოზე მეტი დაამუშავა სტუდენტმა, მაგრამ ის ხომ ვერ დაამუშავებს ყველა

არსებულ სახელმძღვანელოს, რა პრობლემაც არ უნდა იყოს, შესაბამისად, მისთვის გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება სრულყოფილი ანალიზი წარადგინოს სტუდენტმა, რადგან მან არ იცის ყველაფერი თემის შესახებ და ვერც ჩაატევს 8-10 გვერდიან ნაშრომში.
რექტორმა განაცხადა, რომ შესაძლებელია შეეცვალოს ფორმულირება და გაიწეროს „კონკრეტული პრობლემის გადაჭრა“.
ექსპერტმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის პროცესშიც ვერ შეთანხმდნენ აღნიშნულ საკითხზე.
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით ჩოჩიშვილმა დასძინა, რომ „სრულყოფილის“ დეფინიცია არ არის ისეთი, რომელიც რომელიმე საფეხურის მახასიათებელია და რადგან ნაშრომი შეფასებითია, თუ ის არ არის სრულყოფილი როგორ შეიძლება შეფასდეს უმაღლესი ქულით, სრულყოფილებაში არ იგულისხმება პრობლემის გადაჭრის სრულყოფილება, იგულისხმება შეფასებითი ნაწილისთვის სრულყოფილი არის ყველაზე მაღალი შეფასება, დაწესებულება ახდენს ნაშრომის შეფასებას, შესაბამისად სრულყოფილს იყენებენ გარკვეული პრობლემის შესაფასებლად, რამდენად სრულყოფილად არის დაწერილი ნაშრომი და არა უბრალოდ ნაშრომი, როგორც სრულყოფილების ეტალონი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა ექსპერტს, მან განაცხადა, რომ გაითვალისწინებენ აღნიშნულ რეკომენდაციას, ამოღებული იქნება სიტყვა „სრულყოფილი“ და ამით გადაიჭრება პრობლემა.
სხდომის თავმჯდომარის თქმით ყველა თანხმდება ერთ რამეზე, რომ უფრო დაზუსტდა თუ რა იგულისხმებოდა რეკომენდაციაში და თუ დაწესებულება გაითვალისწინებს, ფორმულირებას შეცვლის, ეს მისი დისკრეციაა, საბოლოო ჯამში შინაარსთან დაკავშირებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:50
დასრულების დრო: 18:52

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:56 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა